ხელშეკრულება № 50
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.ამბროლაური 22 მარტი. 2022 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს ,,ზარაფხანა“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის, კორპორაციული გაყიდვების მენეჯერის მარიამ მალაზონიას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად (cpv37800000) სუვენირის ,,ტარიელისა და ვეფხის შერკინება“ შესყიდვა . რაოდენობა 1(ერთი) ერთეული.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 550,00 (ხუთას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 4 (ოთხი) სამუშაო დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2022 წლის 25 მარტის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.
5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ან/და ზიანის ანაზღაურება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
- საქონლის გადაცემის პარალერულად მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისამდე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირეობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თვითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.

13.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა #11
ს/კ 222938490
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

მერი ზვიად მხეიძე

Zviadi Mkheidze

Digitally signed by Zviadi Mkheidze
Date: 2022.03.22 14:53:14 +04'00'

მიმწოდებელი:
შ.პ.ს ,,ზარაფხანა"
ს/კოდი №202445540
ქ. თბილისი. ლუბლიანას ქ N15
ს/ს/ " საქართველოს ბანკი ". BAGAGE22
ა/ა №GE71BG0000000193654600
კორპორაციული გაყიდვების მენეჯერი მარიამ მალაზონია

ZARAPXANA JEWELRY SINCE 1939

Digitally signed by Mariam Malazonia
Date: 2022.03.22 16:01:15 +04'00'